

1961

ნან. ა. კანდელაკიძე

№ 7

თბილისი აპრილი

1961

# ნიანა

ქართული  
გინაზიკოსები

გამოცემის XXXIX წელი, ფასი 20 კპ.



ნიანა 61

არადამაკმაყოფილებელ მუშაობას ხზოების გასაზრდელად და სადგამი სულადობის დიდ სი-  
ბერწეს მეცხოველეობისათვის მოაქვს დიდი დანაკარგები, ხოლო სახელმწიფოსა და მოსახლეობას  
აკლდებათ მნიშვნელოვანი რაოდენობით სორცი და რძე.

(საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილებიდან)

— რამდენი წელია ერთი ლიტრი რძეც არ მოუწველათ ამ ბერწებს და ძროხებად კი მოაქვთ თავი!

# ნინეის ვახუშტი

**მრავალ წერილთა შორის, რომელსაც ნინეი ღებულობს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან, არის პასუხები გამოკვეთებულ კრიტიკულ ფელეტონებსა და კარიკატურებზე. გავაცნობთ მკითხველებს ზოგიერთ მათგანს.**

## რა ძნა ფხეხიმი ბალანსა

გასული წლის ოქტომბერში ნინემა თავის მე-19 ნომერში დაბეჭდა კრიტიკული წერილი — „ფხეხიმი ბალანსი“, რომელიც ეხებოდა თბილისის ხორცკომბინატიდან ხორცისა და ხორცის პროდუქტების დატაცების ფაქტებს. ნინემა ამ კრიტიკულ წერილზე პასუხი მიიღო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხორცის მრეწველობის ტრესტის (საქხორცმრეწვის) მმართველის ა. მ. გ. ურუშაძისა და თბილისის ხორცკომბინატის პარტიული ბიუროს მდივნის ა. მ. დ. იაშვილისაგან. ისინი გვწერენ, რომ შემოწმების შედეგად ფელეტონში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა და დამნაშავენი დასჯილი იქნენ სათანადოდ. პარტიულმა ორგანიზაციამ, აღმინისტრაციასთან ერთად დასახა საჭირო ღონისძიებები, რომ მომავალში ადგილი არ ექნეს პროდუქტების დატაცებას. ხორცკომბინატის გვერდით მდებარე მუშა-მოსამსახურეთა № 111 სასადილოს № 1-მა ფილიალმა, სადაც არაყისა და ლუდის სმა იყო გახურებული, უკვე შესწყვიტა თავისი არსებობა.

## აბზიანიძის ფხის საქმე ფხი აიღვა

ნინემა თავის 23-ე ნომერში დაბეჭდა წერილი სათაურით — „აბზიანიძის ფხი“. მასში აღნიშნული იყო, რომ მსუბუქი ტაქსის მძღოლმა ნიკოლოზ ილურიძემ სამტრედიის გზაზე მანქანა დააჯახა და ცალი ფეხი მოსტეხა ჯიხაიშელ თამაზ აბზიანიძეს. მილიციის სამტრედიის განყოფილების მუშაკების ფოფხაძისა და ძიძიგურის წყალობით ეს საქმე ფხმობილივით დიდხანს იდგა ერთ ადგილზე და მხოლოდ ნინეის გამოსვლის შემდეგ აიღვა ფეხი.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო გვატყობინებს, რომ მილიციის მუშაკები ფოფხაძე და ძიძიგური მოხსნილი იქნენ დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილი იქნენ სხვა რაიონში დაქვეითებით. სამტრედიის სახალხო სასამართლომ მძღოლ ნ. ილურიძეს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით.

## მათემატიკური სიზუსტით

მკითხველებს კარგად ახსოვთ წერილი, რომელიც დაბეჭდა ნინეის გასული წლის 23-ე ნომერში სათაურით — „მაღლი და მათემატიკა“. მასში აღწერილი იყო, თუ როგორ „შეეშალა“

(თავის სასარგებლოდ) ანგარიში რესტორან „სამადლოს“ ოფიციალტს ბ. ბარხუდაროვს და „შეცდომით“ როგორ გაზარდა ფასები ერთიორად.

თბილისის რესტორნების ტრესტმა მათემატიკური სიზუსტით დაადასტურა წერილში აღნიშნული ფაქტი და ბარხუდაროვი მოხსნა სამუშაოდან.

## ხელის მოთხოვა თბილი წინდებით

„გამოყენებითი მათემატიკა“ — ასე ეწოდება წერილს, რომელიც გასული წლის დეკემბერში დაბეჭდა ნინემა. მასში აღწერილია თბილისის მეორე უნივერსიტეტის საბავშვო განყოფილების გამყიდველების ნ. მარტყოფაშვილისა და ე. შაუშოვას ვარჯიში მათემატიკაში (დიდების მოტყუება ბავშვის წინდების გაყიდვის დროს).


თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრობის სამმართველო და მეორე უნივერსიტეტის დირექტორი ა. მ. გ. ხეინგია გვატყობინებს, რომ ბავშვის წინდების გაყიდვისას ფასების უხეში დარღვევის შედეგად ჩადენილი დანაშაულისათვის ნ. მარტყოფაშვილი და ე. შაუშოვა მოხსნილი არიან სამუშაოდან. როგორც ჩანს, ხელის მოთხოვის ნაცვლად მათ ხელი დაიწვეს თბილ წინდებზე.

## კითხვა-პასუხის პასუხი

ნინეის მიერ მიმდინარე წლის იანვარში ჩატარებული კითხვა-პასუხის სალამოზე აღნიშნული იქნა, რომ ბორჯომის რაიონის სოფელ კორტანეთის კლუბის გამგისა და ბიბლიოთეკარის მიერ შემოღებული მორიგეობის წყალობით შეუძლებელი ხდება სამუშაოზე ერთდროულად მათი ნახვა.

ბორჯომის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. მ. ა. მაისურაძე გვიგზავნის კითხვა-პასუხის სალამოზე დასმული საკითხის პასუხს, რომელშიც აღნიშნულია, რომ რაიონული საბჭოს აღმასკომმა განიხილა კორტანეთის კლუბისა და ბიბლიოთეკის მუშაობის საკითხი და დასაჯა მორიგეობის შემომღები ამახანაგები შრომის დისციპლინის დარღვევისათვის.

ნან. გ. ფიცხალავასი



## ვიწყებთ ფხეხურობის სეზონს

მხაჯი სტვენს,  
ალამი  
ქარში ქრის,  
ბურთები მიჰქრიან  
კარდაკარ.  
სეზონი დაიწყო,  
დაიწყო,  
გვიშველეთ,  
გივო და  
მიხეილ,

სადა ხართ!  
ხომ კარგად  
აკაუეთ,  
ბიჭებო,  
იმ ზაფხულს  
დადლილი კუნთები,  
ამ მაისს,  
ამ ივნისს,  
ამ ივლისს  
ქე მაინც  
შეყარეთ ბურთები!



# საქართველო

მე როგორც ბუღალტრს, მთელი ცხოვრება ჩვენს ქარ-ბანაში მატყვ გატარებული: შვიკობა და შვიდი და უფროსი ბუღალტრად დაგამოაგრეთ სამსახური. სოციალურიდან სხვა-ბერებზე საკუთარი არ მინდოდა და სასტიკი დღიდან ჩემი სათვალავიანი პორტრეტის ისე იყურება, თითქმის წყლით თვლიდათ ათავალღებებს ქარბანის ახალ-შეშობ-სული.

სინარდის დღეები ახალ ყველა სად მოვიყვანე. მატყვ როგორ არ მოვიყვანი ყველა ის წლის მაღანში, რომელ-ზეც ერთი ცვირი ადრე ჩამატებდა და ზოგიერთი ბუ-ღალტრის გუნდს განათავსებდა თამბურჯინე მუშაკთა სამ-მარხოების კართში. არც ტურნული მინდა დაჯიჯიყა. არც შეუღების დახამდა. ათივე მაღალმა და კიდევ სხვა იმისთვის განა დასაყურებელია? მატყვ იმ პერი-ოდს გამოუღებდა, რომელიც ჩვენს შემთხვევაში, ყველა სინარდის კრამბობისა და მინდა აქტიუბული გუ-ლი უფრო არ დამწიფებდა.

— მაგ სასწავლოში მიყვარდა თითხმა ღირსია დღის შემდეგ კრიაღისანი მარცხილი.  
— არიფიშობების ჩაკეუნის ნაცვლად დაე თქვენი ყურთაშენა შევადგის და შეიღებულების ელტრტულმა დახატვის.  
და მეს ვიყავი ქარბანის კუბის სიყვანე ჩემი წინა მუ-შეში სამოქმედობა და სინარდის დამტკიცობი და თავ-მომოწოდ გაკეთებდი დანაშაუნი მსმდომ შეუღებსა და რძებდა. იმ საღამოს ხომ იმდენი სამსახური საღებრე-ლი მოვიმინე, რომ ირი დღე გაბრუნებულ დავდიდი.



— მე მელოდებით, გოგონებო  
— როგორ, თქვენ ტროლიბუსი ხართ?

მესამე დღეს ჩვენი ქარბანის საყვარელი ჩემსა ურბოვად წამოვიყვანი დავხე და, როცა გამახსენდა, რომ სამსახუ-რე არ ვყოფი წასადგელი, ისე ლოწინი შემტობმა მო-ფურქინე. მატყვს ვინ დამეცვალა.  
— მამა, მაგწმენს ჩაკეული.  
— მამაშენი, სიყვანე ვაგზაზედ.  
— ვანი, პერი ამოიარებინე.  
— მამა, ჩემი დღეები რა იქნა?  
— იმ დღიდან დაწიურ ჩემი ნამდვილი შემთხვევა: დილით სამი შეიღებულის გაღებობა, ჩამენ, საუზმე და სურ-ბული მიყვანა, შემდეგ დახვედრა და სახლში მოიღებო, 12 საათიდან მაღაზიების ჩამოღება, ბაზარში ბორცვს სარ-ბული და კერბანს მომზადება.  
ჩემმა ეგონა რამდენი თბილისის სამსახური იზონა და პატარა მაგწმენის მოვლა-ბატრონობა მე გახმობილყა.  
— წინაშე სამსახურ ვაგზავა, ვაგზავდეს პასპისი...  
— გეგონს აგუდალი კრებო\* ვერ მოეყოლა, დაკრებულს პასპისი.  
— ნეტაჩარ არიფიშობაში ირანია მთელი, ირანია-ნივ დავიხატის ვანი, შენი თავი და ტანი.  
— ასე დავიხატე დღეიწუგე შეიღებობაში პირველმა და მესა-მე კლასში. სულ უფროდ ვიწყვედი სადავყო დღეები და არიფიშობის უფროდ, ამას თუ დღეებშიც ვიყავი. მთლიანი და იმდენივეს ვაკეთებდი, დიდელი მიხედ-ვით, თუ რა სამოქმედობი ვიყავი ავსილი.  
— კვირის მაგწმენს ვინ წაიჭყანს სასიყვარლო?  
— ვინ არ მუშაობს.  
— სინარდის მაგწმენს ვინ უნდა ამგწმენს ღღინა მი-ანე?

— ვინც ხალხში ზის, ერთის სიტყვით, ყველა ის ზებუნებრივი წყალობა, რომელიც მე ამ პატარა წილი-სოფელში უზარასობადა მინდოდა, სულ მოღალატე განთავსიუღებულა ყველაზე-მეტი შესესკადური ნიჭისაგან. მახსოვს ჩამო-წმენი დღისში ოთხი ამხანაგი რომ შეგვიბო-რონი პირზე ხელს მაგწმენდა და აქინა რა-ოდ იყავა სინდრის უფროდ ვინაშენი მსმტყვებს ერთხელე, მტყვობსა ქოხში, სინარ-დისა დგობა, ვისა...ა მინამდვილი ორი და-გამთავრე, ირანიაშენის ციხიდან მიღებულ-ღები მოგარდენე, ვისა კოლევნ ასე საზი-ნელი ხმით რომ დრიალებსო. ისე კი მე-გარდა სიმდრეტი: „პოი, შენი, ჩემი თვირი ბატო“, მემ გამაგრობა ჩემი ტახლი სი-ცხადელე“, „მეგადავამოგო“ და სხვა, მატყვ სინდის დღისში მოტყვობს კარ-და ვეყო-ღებულე სიღვრე მარტო ერთმა მტყვობს სამსახური რომ ნახა იმ სინდრის სიტყვები, რომ ჩემი მუშობლები პირის-გაღებისასაცვე უტყვობს თითხმა ახიდან: ასივედ ნიჭისანი არიან მგონი ჩემი შევი-ღებულე და, ყოველივე ამ სიტყვის შემე-დებ, მე რომ მაგწმენის პანირიწუგე მე-გარეთობა ჩამაპარეს, ყურბის არ დავეკრე.  
— არა უშეშარა, საწავარიშის რე-ულზე გაქვს გაგარეუბებული თითხმა და კლავიში არ შევეშლვარა.  
— ტრახტო, თორემ რა არის თურკი-საწმელი და გაუგებარი.  
— ყველა ამ სიტყვის კიდევ ის დამატა, რომ ჩემმა უმცროსმა ძაღლმა ეკვნიანა დაწყო, უფროსი შვილის მაგწმენს გადა-ცავდა, თითხმა მუშაობა დაწყო და გუნ-დასაზღვი მომიყვანა კიდევ სამი შეღებულე.  
— ჩემით, საუზმით, სკოლაში წყევანია და გაკეთებულების მომზადებით.  
— ამ დახვედრის პერიოდში ოთხი კოლე-დავლედი და პასპისის წყვა დაწყო, ადრე მინდა, ბატრონი, უნდა, საცხარისა დახვედრე.

3. მავსაუღალაშვილი




— ჩამ შთავაგონა ბუღალტი კაცს მწერლობის და-წევაში!  
— საწავარიშობ, ბატონო!

## სპიტიუბუსი

შორი გზის გაველა კი არა, მიწასაც ფეხს არ აკარგეს, „ლურჯა“ მეკავს ვეგადახარბიალა, რიბილი ტატრეგვით ატარებს.  
მას არც უნახეი სიწვიბა და არც ადვირის დატყრა, „ლურჯა“ რას აუხრიდებდა, — იცოდეს მძილოლის სატყმა.

ღვთის კარიდან გასცქერის, ისე „ცენობა“ ცხოვრებას, კისრობით დასქელებს, კარი იგვირგობა, აქვს წყურის მიზეზი, ჩემს მძილოდ ორი რამ: იმ რომ ადის კიბეზე, იმ რომ მიღს ლოგიონთან.  
3. შტაბინაშვილი

საწყობის ჰქიბთეს — როგორი გეგვაქვს და — წარმტკიცო, კიბისი ეგვისი დახადების დღეებში რის წყინი ბიარტობა — ფესვის აზოლბა სწავლები.  
უფროსი მთელ დღეებს კანხერ ატარებდა და მდივანი ქე-ლი მაინც ვადახმბდა — ჩემი უფროსელ-წყასულობა.  
ეგვისმა წადტრახაბა — დახუთულს-წყურნილ და სამ დღეში ფეხები ვეგავებინებო.  
ზოგი გეოლოგი კარგი მიბინბაურდება და ზოგიც კარგი ძიბითთაო.  
3. შტაბინაშვილი



რევიზიის ატარებდნენ... თითხმობრემ: ვაიყო: მთლი რაიმიყო: რიდი ნუ ვიკიდლო, — ვეგავაიბიბიბო: — იცნოს პანაშვილი  
ღვთობს რა-ნი, სიყვანი

სამსახურს რომ მოგვრი, ცოლის სიყვარულმა ოთხარტი ცხენით წამახიქებია შინისაკენ.  
სად იყო და სად არა, გზაჯვარედინზე ერთი გულისსარიმოდებული ცთომილი ვერსკვლავი და-მპირისხარდა.  
ესე იყო ჩვენი დროის ჩანვილიწმულ-ჩასიცილი-ნებულები მათხმა.  
— ამოღობის ვებაღვარ, — მეუბნებო და მიღობის. მე გათლებსაგან მტრებს ვიჩივარე.  
— მე თქვენი მეუღლის განსურებული მეგობარი ვარ, თანამებრ თვალდავებე.  
— სასიყვარლო, ფრიადა სასამოფრო, — ვუებნებო თერგინს და, მის პატერვან ღიბისს მეს ღიმი-ლით ვაგასტეხი.  
— როგორ გეკითხობი, ქალბატონო თერგინო?  
— ძალიან გზიხთო უზრანდა თერგინე დამი-ბიხითი, ყოველგვარი „ქალბატონო“ გარეზე, ბატო-ნი ამოღობს.  
— მაშინ ნურც თქვენი დამიხატებო ბატონის, ასე ვერაბანადა ვაგწმენადურდი.  
— სად მიზანდებელი, თერგინო?  
— სახლში მამიწვინა და გადაღვიწვინე გაგვიარ-გამოვიარო, თვალს წყადი დავაღვლიწო, თქვენ საით?  
— ცოლ-შვილიმი მივიჩიებო, — ვუებნებო, — ჰოდა, ურტივი არ იქნება, ჩემი თერგინო, თუ თქვენი წამოზრდებილი რიოაც შეგეგვქვებო, ვეგვისანსილ-დებიო. ყველა, პური, კვი გული.  
— მადლობელი ვარ, ამოღობს ჩემო. მატყვამ ხელგელოცა რა მიმიყვანს, არა, არა, შენი კვირბე, სხვა დროს იყოს.  
— ასე უბატეცვქვებოდა მაინც ვერ გაგვიშვებო, — ვეგვქვებო მე და დღეს აღებული ხელდასივი ჯიბი-დან მტყვებდებო.  
— თუ მაინცდამაინც არ დაიშობი, ვით გეგვა მახანურებე უარს არ ვიტყვებ, ხასიათზე მოიყვანს ადამიანი.  
— უბეღობესი გავე, დელიკატური საუზმე და ორი ღვინო მამაშური, დრომ, აზღბა, არსენეს ნახიჯებით იარა, რად-გან კაფუში ხელ საათს შესესლებო ათ საათზე პარ-ბაციო და ლინ-ღილიანი მღვებს გამოყვლით.  
— ტაქსი ტაქსი! — ვყვირი მე.  
— ტაქსი რად გინდა, ჩემი სიტყვებზე, ფეხით ვავიარებო.  
გავიარებო.  
თმბრინის მკლავში ხელი ვაგუყვარე და მქუ-პუტიათა და ნახევარი ჩანებლებული ქუბებით სახ-ლაშვე სულ კურბრუში მივიკიდო.  
ღამის პირველ საათზე ჩემდა ზედად, ჩამოე-ლილბა ტაქსმა კოლონა მიმამოქოლა.  
ღიღინ-ღიღინი მიგადებო ცნობისმოყვარე მე-ზობელი ქალბიბი ალყაწმენტრქულე კოლს:  
— მიგთიე? — მივიცვლა ცოლმა.  
— მიგთიე? — ხუმროსანი ჩამოვიარებო მე და ქრისი ოღმა დამასხა.  
— სად დავთროდი, ვეგბატონო?  
— არასად, ჩემი სულისგამე, შენს მეგობარს მესი ბატო.  
— სკვიდილი და არდარბერებო გევა შენი. ვის, ვინ მეგობარს?  
— ვისა და შენს განსურებულ მეგობარს, თერგი-ნის, თერგინე თვალდავებს... ჩემო კარგი!  
— ვისაო, თმბრინესო? ვინაა ჩემი მეგობარი? ვინ? თმბრინე? თმბრინე ვათახსიბურებო შენი გა-ცხივრის მინა, შე წუწყო, შენა, შე გლავაგ, შე მათ-ხივარე, დაუნდობელი, თმბრინესთან, იმ ქვეყნის-სანთრეგვანს ეთერე! სად დაარგე სირცხვილი და

ნამუსი, შე ნამუსგარეცხილიო! წყითრი, წყითრი იმ მტრის ნათრეგვანს ვინაა ჩემი მეგობარი, ვინ? თმბრინე?  
და უცებ ისე იკვილა ჩემმა პირველებულმა ცოლმა: — ვრისა! — რომ განთიფილი მსმტყვით აკ-ცნებულად ვეგვრო ვეგვინებო? — იკვირა და ცხმტრებით წიხისილყა: — მიმატ-რიალ-მომბატროდა თუკი, შენმამაქვ და ვაწყო რებული კვილიმი, ვუღწმენობილი რაიქვებო მეუბნებოდა ტყვენი, რომელსმოსმოსით ქველ-მოქმედებო გასცდილბებოდა, — ვეგვრე, ვუნესტეხი ვერაბანადა ვაგწმენი ცხენით ჩემი მეორე ნახევრის ვისესტეგვრება შეგდებდა, მეორენი მიმბეგვრე მე, პირველ ნახევარს და საეკეოდ ახიხითიფებულმა სასტემა მამაქვებს.  
— ვინაა მამა ვაგწმენი ხელი.  
— მამე პარიღული ვეწმენილი მრული ხაზებით მისს და აჭივლებო.  
— ვინ ის იყო, ვეგვივლებო, თავი სად ვაგვიყუ-რებო-ტი, რომ გამოავიარებო მიტრეტეკულე თვებე ან უკვე მოსკლივებულმა ცოლმა მტრულ-ჭრულ ფოსტლებით ჩვეული სინახით მომიადღერა...  
— არ მახსოვს მამე როგორ და სად ვაგაიყო... მიღი ახლა და ეცი პატივი ცოლის მეგობრას.  
8. პანარანა

ზოგიერთი რაიონში ბრ. კონიატები ანდაღებურებ თვებს.



— არაქვ, ზრაკონიერებო მიღინ... რა ვენაო, რა წყალში ჩავვადრებო?



ყველა დაბადებულა, მაგრამ ყველა არ იხდის დაბადების დღეს.  
პირადად მე ხეირიანად არც კი ვიცი, როდის დავიბადე, ან რა შავ ქვად  
მინდა.

ჩემი დაბადების დღე ჩემს თანამშრომლებსაც არ აინტერესებთ, ვინაიდან,  
როგორც ვატყობ, უფრო წყველიან მას, ვიდრე ლოცავენ.

ღა, ცხადია, დაბადების დღეს არ ვიხდი, ამას წინათ ცოლთან მორიგი  
ჩხუბი მქონდა.

სამსახურში უგუნებოდ მივიდი.

ცნობისათვის:—ჩემს პირად მდივანს დიდი ცნობისმოყვარეობა სჭირს და,  
გადასაყვანი ტელეფონის საშუალებით, ჩემზე ადრე იცის ვინ რა დამირეკა და  
ვის რა დავურეკე.

ახლაც აწკრიალდა ტელეფონი.

— ალო, ალო, მამილო! ხომ გახსოვს, დღეს დედიკოს დაბადების დღეა,  
საჩუქარი არ დაგავიწყდეს,—ასე გადმომცა ჩემმა გოგონამ დამდურებული  
მეუღლის ნოტა.

ყურმილი დავდე და ჯიბეები მოვიხიხრიე. რას იზამთ, დამდურებული ცო-  
ლიც ცოლია და ანგარიში უნდა გაუწიო.

მთელს ჩემდამი რწმუნებულ დაწესებულებას ელვის სისწრაფით მოედო  
ეს ცნობა და ყურებამდე გაღიმებულბმა ჩემთან მოსვლის სურვილი განაც-  
ხადეს.

მე ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე: რასა ბრძანებთ, სახლში პურ-მარი-  
ლი არა მაქვს, თანაც ცოლთან რა ხანია უბრად ვარ-მეთქი.

— მით უკეთესი, მოვალთ და შეგარიგებთო.

— მერე პურ-მარილი?

— რესტორანში შეუკვეთეთ და, ჩიტის რქე რომ მოითხოვოთ, იმასაც  
მოგიტანენო,—დამამიმედეს.

ვეცი ტელეფონს და შევუკვეთე: გოჭი, ვარიები, ინდაურის საცივი, ღვი-  
ნოები, ბორჯომის წყალი, თევზი, ხიზილალა, ქართული შოთები, ბოსტნეული,  
მწვადები და, ერთის სიტყვით, ყველაფერი კარგი და ძვირფასი. დამპირდნენ,  
ზუსტად ექვს საათზე ყველაფერს მოგართმევენო.



ა. ბურთიკაშვილი. — ისე დავაცხვე ამდენი წიგ-  
ნი, ერთი არ დაკუთვბულა!

ცოლს საჩუქარი ვუყიდე და სხვებზე ადრე წავედი შინ. ჩემს მეუღლეს,  
როგორც ჩანდა, საჩუქარი მოეწონა და უნაზესი კოცნით დამაჯილდოვა.

შერიგებით გახარებულმა ვაცნობე, ჩემი თანამშრომლები პირდაპირ აქ  
მოვლენ, პურ-მარილი რესტორნიდან მომივა და ერთი ჩვენებურად უნდა მო-  
ვულხინოთ-მეთქი.

ცას ეწია ჩემი ცოლი.

ჩემი თანამშრომლები ერთი ტორტიტ ხელში მგლის  
მადიანები და დამშეულები მომადგნენ.

პურ-მარილის მოლოდინში ზოგი ჭადრაკით ვაერ-  
თო, ზოგი—ნარდით, ზოგი—ანეგლოტებით.

გახდა ექვსი. არ გამოჩნდა პურ-მარილი.

გახდა შვიდი... რვა. დაიწყო ცხრა...

ნერვიულად ვრეკავ რესტორანში... ახლავე მოგარ-  
თმევთო.

გახდა ათი...

ზოგი შიმშილმა შეაწუხა, რალაცები მოიმიზეხეს და  
სხვებმაც თითო-თითოდ იწყეს დაშლა: შორს ვცხოვრობთ,  
გვიან ვერ გავალთო, სახლში არ იციან, რომ აქა ვართო.  
ბოდიში, მაგრამ უნდა წავიდეთო...

დავრჩით მე და ჩემი მეუღლე და პურ-მარილის ორი-  
ოდე გიჟი.

ცოლმა ტორტი დაჭრა და ჩაი გააწყო.

ის ორი თანამშრომელიც ჩავაცილე და სისხლგამშ-  
რალმა კარი მოვიბრახუნე, რომ ჩემს სახლს მანქანა  
მოადგა.

თანახმად შეკვეთისა, პურ-მარილი ახლა მომაყენეს  
სახლში.

— აიბარკეთ აქედან!—ვუღრიალე ჭირის ოფლში  
აცურებულმა.

სირცხვილი ვჭამე და მერე როგორი!

სად გამოვყო თავი, სად?

და ახლა, რესტორნის წყალობით, ჩემს თანამშრომ-  
ლებთან ერთად ვწყვედი ჩემს დაბადების დღეს.

3. ხმაღამე



ნახ. რ. მახარაძისა

— ეს კაცი ამბობს, ორი წიგნი მაქვს დაწერილიო!  
— ის ერჩია, ორი წიგნი წაეკითხა!

# კონკურსი

ჟურნალ „ნიანგის“ რედაქცია 1961 წლის 1 მაისიდან აცხადებს კონკურსს საუკეთესო სატირულ და იუმორისტულ ნაწარმოებებზე.

კონკურსზე წარმოდგენილი უნდა იქნეს:

სატირული და იუმორისტული მოთხრობები, პამფლეტები, ფელეტონები (დაწერილი პროზად ან ლექსად) თანამედროვე საშინაო და საერთაშორისო აქტუალურ თემებზე. მოცულობით არა უმეტეს მანქანაზე ორი ინტერვალით დაბეჭდილი 2 1/2-3 გვერდისა.

საუკეთესო ნაწარმოებებზე გაიცემა პრემიები:

**პირველი პრემია**

100 მანეთი

**ორი მორე პრემია**

თითოეული 60 მანეთი

**სამი მესამე პრემია**

თითოეული 40 მანეთი

მასალები კონკურსისათვის უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი. რუსთაველის პროსპექტი № 42, ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციას. წარწერით: „კონკურსისათვის“.

კონკურსი დახურულია და მასალები იგზავნება დევიზით. ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი წარმოდგენილი უნდა იქნეს ცალკე კონვერტით.

მოწონებული მასალები თანდათანობით დაიბეჭდება ჟურნალში დევიზით და ავტორები მიიღებენ ჰონორარს ჩვეულებრივი წესით.


კონკურსის ეიური — ჟურნალ „ნიანგის“ სარედაქციო კოლეგია.

ჟურნალ „ნიანგის“ ოქტომბრის თვის ნომერში გამოქვეყნდება კონკურსში გამარჯვებულ ავტორთა გვარები და მათ მიეცემა დაწესებული პრემიები.

კონკურსზე მასალების წარმოდგენის უკანასკნელ ვადად დაწესებულია 1961 წლის 31 ივლისი.

515531

ნახ. ა. კანდელაკისა



ვინ როგორ განიცდის ნახატი ფილმის „წუნა და წრუწუნა“ ჩვენებას ტელევიზორში.

კა, ბურთი და კა,  
აუდიტორია!

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

კარი გაიღო და აუდიტორიაში მათემატიკის პრაქტიკუმის ლექტორი რუსაძე შემოვიდა.

— დასხედით!— მოგვაცხადებთ სმენაზე მდგომ და ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყო.

— ამხანაგებო, იცოდეთ გუშინდელი ამბავი აღარ გაიმეორეთ: შეკითხვები რომ დამაყარეთ და მასალის ახსნა ვერ მოვასწარი! ადამია, გესმის, რას ვლაპარაკობ? ყველაზე შეტად შენ შეგეხება ეს..

— მესმის, პატივცემულო.

— ახლა მე გუშინდელ მასალას ავხსნი და შემდეგ გამოვიკითხავ საშინაო დავალებას. მან ინტეგრალზე ტიპური მაგალითების ამოხსნა დაიწყო.

ცოტა ხნის შემდეგ ინტეგრალების ამოხსნას თავი დაანება და მზერა ისევ ადამიაზე გადაიტანა.

— რა გადააწოდე, ბიჭო, სირბილაძეს?

— კონსპექტი, პატივცემულო.

— არ უნდა იცოდე მერე, როდის უნდა გადააწოდო? ვერ ნახე, უდროოდ გადააწოდებულმა ბურთმა როგორ წააგებინა თბილისის „დინამოს“?

— რას ბრძანებთ, პატივცემულო! ერთი გადააწოდება არ წყვეტს თამაშს, აი ის ბურთი რომ დაერთყა გარემარბს...

— რომელი ბურთი უნდა დაერთყა, ბიჭო?

ადამია ახსენებს გუშინდელი თამაშის ეპიზოდებს, დაწვრილებით ახსნათებს ცალ-ცალკე ყველა მოთამაშეს.

— ეპ, პატივცემულო, მესხი და ჩოხელი რომ ყოფილიყვნენ, თამაში სხვა ხასიათს მიიღებდა, აუცილებლად მოვიგებდით.

— რას ამბობ, ბიჭო, რას, გუნდს საიმედო რეზერვი არ უნდა ჰყავდეს? რას გავს ჩვენი სათადარიგო შემადგენლობა? აფსუსს, რა გუნდი იყო წინათ ჩვენი თბილისის „დინამო“, რას თამაშობდა ბასა?! თქვენ სად გემახსოვრებთ ბასას თამაში, ის რომ ბორის გვერდზე თამაშობდა... აი, მაშინ უნდა გენახათ... არა, მაშინ თქვენ ბავშვები იქნებოდით.

და ამ საუბარს მოჰყვა პატარა ლექცია „დინამოს“ სახელოვან წარსულზე.

იგი ლაპარაკობდა მთელის მონდომებით, გატაცებით და ჩვენც დიდი ინტერესით ვუსმენდით, გარინდებულნი მანამდის, ვიდრე ზარის ხმამ არ გამოგვარკვია ყველანი... ლექტორი შეჩერდა, შეჩერდა ისე, რომ წინადადება არ დაუმთავრებია, წარბები შეკუმუნა, ქვედა ყბა აუთოთოლდა, სიბრაზისაგან აეთო სახე.

— ადამია, ადექი და გადი გარეთ!

ადამია მორჩილად გავიდა, ხოლო ლექტორმა რუსაძემ დაუმატა:

— ეს ადამია ახირებული კაცია სწორედ.

შემდეგ ჯგუფის მამასახლისის ჯიჯავაძეს მიუბრუნდა და უთხრა:

— რას გავს ეს, შეიძლება სულ ფეხბურთზე ლაპარაკი? თავის მაგივრად ბურთი გაბიათ, ბურთი, თქვენს გამო ტაიმი ისე დამთავრდა, საშინაო დავალების გამოკითხვაც ვერ მოვასწარი.

— თქვენ, — მოგვიბრუნდა იგი დანარჩენ სტუდენტებს, — ადექით და დაისვენეთ, მგონია, ამის შემდეგ ჩვენ ნორმალურად განვაგრძობთ ჩვენს მეცადინეობას.

ა. ლავითაია

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ბ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჭელიძე.

საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა


თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 3-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 29/III-1961 წ. კალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნახ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შტა. № 576, უფ. 02396. ტირ. 40000



დასავლეთ გერმანიის მთავრობა ყოველწლიურად აღიღებს სამხედრო ხარჯებს.

ქართველი  
ბიზლირთეკა



ხარჯების გაზრდა ხალხის სა-  
არსებო ღონის უმჯობესების  
ხარჯზე

